საქართველოს ეკონომიკის განვითარების კლასტერული გზა

ნოდარ სამხარაძე
თბილისის ღია
უნივერსიტეტის პროფესორი
E-mail: nodarsamkharadze@gmail.com
ეკა სომხიშვილი
თბილისის ღია
უნივერსიტეტის ბაკალავრი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონომიკური სუბიექტების კლასტერული განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მოყვანილია მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკური კლასტერების გავრცელების თანამედროვე მდგომარეობა. გამოთქმულია შეხედულებები საქართველოს პირობებში მწყობრი სახელმწიფო კლასტერული პოლიტიკის შემუშავების და პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე, როგორ განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მათი ეფექტურობის ზრდა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ორგანიზაციის ინოვაციური, პროგრესული მეთოდების დანერგვის გზით არსებული სიმძლავრეების კონკურენტუნარიანობის ზრდას. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ განვითარებული და "ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" გამოცდილება და განვითარების გარკვეული ეტაპების გამოტოვებით დააჩქარონ პროგრესი.

ამ ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სუბიექტების ეფექტურობის ზრდა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არიან ისინი ჩართული რეგიონში არსებულ სხვა საწარმოებთან კოოპერაციაში (საუბარია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სუბიექტების კოოპერაციაზე); თუ რეგიონში არსებობს საწარმო, მისი მუშაობის ეფექტურობა იზრდება, თუ ეს საწარმო ჩართულია კოოპერაციაში ამავე რეგიონში არსებულ სხვა კომპანიებთან, რომლებიც მისგან დამოუკიდებლებლად ფუნქციონირებენ, შეიძლება კონკურენციაშიც არიან მასთან, მაგრამ ასრულებენ მისთვის ვიწრო, სპეციალიზირებულ სამუშაოებს უფრო იაფად და ხარისხიანად, ვიდრე ეს საწარმო თავისთვის შეასრულებდა; ზოგადად, ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობა იზრდება, თუ ისინი რეგიონში ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ე.წ. ქსელური პრინციპით.

მეზო და მაკრო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ქსელური პრინციპი უზრუნველყოფს მათი ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდას ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ფარგლებში.

ერთი ფირმის დონეზე წარმოების ორგანიზაციის ქსელური ფორმა წარმოშობს, მაგალითად, საცალო სავაჭრო ქსელს, რაც მეტად გავრცელებულია; ხოლო რამოდენიმე, დამოუკიდებელი ფირმის ქსელური კავშირი ქმნის ე.წ. ეკონომიკურ კლასტერს, რომელთა მიმართ, უკანასკნელ ხანს მსოფლიოში ინტერესი ძალზე გაიზარდა.

რა არის კლასტერი და რით შეიძლება ის საინტერესო იყოს ჩვენი რეალობისთვის?

ტერმინი „კლასტერი" ეკონომისტებს შორის პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ეკონომისტმა მ. პორტერმა 1990 წელს სტატიაში „ეროვნული კონკურენტული უპირატესობა" წამოაყენა ქვეყნების რეგიონულ განვითარებისადმი კლასტერულ მიდგომების საკითხი. მისი განმარტებით: "კლასტერი, ეს არის გეოგრაფიული ნიშნით დაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზირებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების, მონათესავე დარგების ფირმების, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციების (მაგ. უნივერსიტეტების, სტანდარტიზაციის სააგენტოების, სავაჭრო გაერთიანებების) ჯგუფი, რომლებიც არიან კონკურენციაში, მაგრამ ამასთან ერთად, ერთობლივ სამუშაოს ასრულებენ"(1).

კლასტერულ გაერთიანებებში მიიღწევა სინერგიული ეფექტი, ანუ კლასტერის ერთობლივი, ჯამური სიმძლავრე მეტია ვიდრე შემადგენელი ფირმების ცალკე აღებული სიმძლავრეების მექანიკური ჯამი. კომპანიები სანამ ერთმანეთთან კლასტერულად გაერთიანდებოდნენ,

ფლობდნენ სიმძლავრეებს. კლასტერში გაერთიანების შემდეგ მათი ჯამური სიმძლავრე, როგორც წესი, ყოველთვის მეტია მათ კლასტერგარეშე სიმძლავრეების ჯამზე. კლასტერის შექმნის შედეგად მიიღება დამატებითი მწარმოებლურობა და იზრდება კლასტერში შემავალი სუბიექტების კონკურენტუნარიანობა.

კლასტერების შექმნა შეკვეთით, ადმინისტრაციულად, საკმაოდ რთულია; კლასტერის მთელი არსი და ეფექტი ვლინდება იმით, რომ ეკონომიკური სუბიექტები შედიან კლასტერულ კავშირებში ერთმანეთთან ბუნებრივად, საჭიროებიდან გამომდინარე,შეიძლება ლოკალური მიზნების გადასაწყვეტადაც კი.

შეგვიძლია მოვიყვანოთ საქმისადმი კლასტერული მიდგომის მარტივი მაგალითი: დავუშვათ, რეგიონში საწარმოებს ჭირდებათ სპეციალისტები, რომელსაც ადგილობრივი უნივერსიტეტი არ ამზადებს. ერთი საწარმოს მიმართვის შედეგად, სასწავლო დაწესებულება ახალ პროგრამას ამ სპეციალობით სავარაუდოდ, არ გააკეთებს, მაგრამ რამოდენიმე საწარმოს ერთობლივი მიმართვის შემდეგ, დიდი ალბათობით, მათი თხოვნა დაკმაყოფილდება, რადგან საქმე ეხება მოსამზადებელი სპეციალისტების დიდი რაოდენობას. მეორე მაგალითი უკვე პრაქტიკიდან: ფოტოფირების კონკურენტულმა ფირმებმა Fuji და Kodak ერთობლივად შექმნეს ალიანსი ფოტოაპარატების მწარმოებლებთან Canon, Minolta და Nikon. ამ ალიანსის ამოცანა იყო ფოტოაპარატების და ფოტოფირების ახალი სტანდარტის შექმნა, რომელმაც "Advencer Photo System" (მოწინავე ფოტოსისტემა) სახელწოდებით არის ცნობილი(2). ალიანსში შემავალ ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს ასეთი ინოვაციური და ხარჯიანი პროექტის განხორციელება დამოუკიდებლად არ ხელეწიფებოდათ. ერთიანი ძალისხმევით კი, პროექტი წარმატებით დასრულდა. აი, სწორედ ეს არის საქმისადმი კლატერული მიდგომა, ანუ მართალია, ფირმები ერთმანეთის კონკურენტები არიან,მაგრამ ლოკალური მიზნების მისაღწევად მოქმედებენ კლასტერულად, ანუ ერთობლივად. მიზნის მიღწევის შემდეგ კლასტერი შეიძლება დაიშალოს, ხოლო შემადგენელი ფირმები სხვა კლასტერში გაერთიანდნენ. შეიძლება ორგანიზაციები ერთდროულად, რამოდენიმე კლასტერში იყვნენ გაერთიანებული.

სიტყვა „კლასტერი"(ინგლ. clusters) ნიშნავს დაჯგუფებას, მტევანს, ანუ ჩვენს შემთხვევაში, ერთგვაროვანი, მონათესავე, დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტების გაერთიანებას.

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ კლასტერები იქმნებიან სპონტანურად, ბუნებრივად; მათი განვითარება, ახალი ელემენტების დამატება ხდება საჭიროების მიხედვით (ან კლასტერი იწვევს ახალ სუბიექტს, ან სუბიექტი ითხოვს კლასტერში მიღებას).

პრაქტიკულად, წარმოშობისთანავე, კლასტერული თეორია ფართოდ მოთხოვნადი გახდა სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ახლებურად წარმართვისათვის; რასაკვირველია, კლასტერები მ. პორტერამდეც არსებობდნენ (მან პირიქით, საწარმოების ქსელური კავშირების ანალიზის შემდეგ წამოწია კლასტერული თეორიის საკითხები), მაგრამ მან არსებულ სიტუაციას მოარგო აღნიშნული თეორია, რამაც ეკონომიკური სუბიექტების უფრო მწყობრ, გააზრებულ ქმედებებს დაუდო საფუძველი და ახალი იმპულსი მისცა კლასტერიზაციის პროცესს. ამასთან ერთად სახელმწიფოებმაც თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღეს კლასტერების განვითარების ხელშესაწყობად; თანდათან შემოვიდა ტერმინი „სახელმწიფოს კლასტერული პოლიტიკა".

სახელმწიფო კლასტერებისადმი შეიძლება ატარებდეს ორგვარ პოლიტიკას: ადმინისტრაციულს (დირიჟისტულს) და დემოკრატიულს. ადმინისტრაციული პოლიტიკის გატარების დროს:

- მთავრობა კლასტერების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს: რომელ რეგიონში და რა დარგებში უნდა შეიქმნას ახალი კლასტერი ან როგორ განავითაროს არსებული.
- პრიორიტეტული კლასტერისათვის მიზანმიმართულად ანვითარებს ინფრასტრუქტურას; ქმნის და აფინანსებს კლასტერის მართვის ორგანოს, მოცემულ რეგიონში ხსნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ფილიალებს, აწესრიგებს გზებს და ა.შ.
- კლასტერების ორგანიზებას მთავრობა ცდილობს განსაკუთრებით დეპრესიულ რეგიონებში.

დემოკრატიული მიდგომების დროს მთავრობა:

- ხელს უწყობს ბუნებრივად წარმოქმნილი კლასტერების განვითარებას (მოაწყობს ინფრასტრუქტურას, უწესებს კლასტერებს შეღავათებს და სხვა)
- წაახალისებს რეგიონალურ ხელისუფლებას, რათა ისინი უშუალოდ დაეხმარონ კლასტერებს შემდგომ განვითარებაში;
- ეხმარება კლასტერებს გრანტების მოზიდვაში, უფინანსებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. კლასტერებზე ზრუნვას ავალებს უშუალოდ რეგიონალურ ადმინისტრაციას.

კლასტერის შექმნა იწყება ე.წ. კლასტერული ინიციატივით. კლასტერული ინიციატივით

გამოდის პიროვნება, ფირმა, ფირმების ჯგუფი ანუ ინიციატორი, რომელიც მიმართავს მასთან გეოგრაფიულად ახლო მდებარე ეკონომიკურ სუბიექტებს, რომ გაერთიანდნენ ქსელურ სისტემაშიკლასტერში, ამასთანავე დარჩნენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ სუბიექტებად და თანამშრომლების შედეგად მიიღონ სინერგიული ეფექტი და დამატებითი კონკურენტუნარიანობა. კლასტერული ინციატივის მქონე ეკონომიკური სუბიექტი, ძირითადი გამწევი ძალა, არის საკმაოდ ავტორიტეტული, ცნობადი, ძლიერი ეკონომიკური ზურგით, რომელიც დაუმტკიცებს პოტენციურ პარტნიორებს კლასტერში გაერთიანების სიკეთეებს.

იმისათვის, რომ ქსელური გაერთიანება კლასტერულად იქნეს მიჩნეული, საჭიროა ასეთ „მტევანს" უნდა გააჩნდეს შემდეგი ნიშნები:

- ეკონომიკური სუბიექტები კომპლექსურად უნდა იქნეს განლაგებული ახლომდებარე ტერიტორიაზე (გეოგრაფიული ლოკალიზაცია);
- ორგანიზაციებს შორის უნდა იყოს ეკონომიკური კავშირები;
- სუბიექტებს შორის უნდა არსებობდეს ტექნოლოგიურად დაკავშირებული ქსელი. მაგალითად ტურიზმის კლასტერში შეიძლება გაერთიანებული იყოს ტურისტული სააგენტო, სასტუმრო, კვების დამოუკიდებელი ობიექტები. მრეწველობაში, მაგალითად სამთო მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო;
- კლასტერში გაერთიანებული უნდა იყოს ეკონომიკური სუბიექტების გარკვეული რაოდენობა (კრიტიკული მასა), რომლის ზემოთაც სინერგიული ეფექტი ხელშესახებია.

კლასტერების ეფექტურობა დამოკიდებულია დარგობრივ თავისებურებაზე, მაგრამ მათი საერთო მახასიათებელია წარმოების ხარჯების შემცირება, მეტი მოქნილობა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მეტი შესაძლებლობა, ინფორმაციის მოპოვებაგავრცელების მეტი საშუალება და სხვა. კლასტერების სინერგიული ეფექტის წყარო შეიძლება იყოს:

- ნედლეულით და მაკომპლექტებლობით მომარაგების სისტემის ეფექტურობის ამაღლება (მაგ. ტრანსპორტირების ხარჯების გაყოფა);
- სპეციალური სერვისების მიღების შესაძლებლობა და ხარისხის ზრდა;
- ფინანსური რესურსების ერთობლივად მოძიების სფერო; მაგალითად, კლასტერისათვის უფრო ადვილი იქნება ვენჩურულისარისკო დაფინანსების მოძებნა, ვიდრე ცალკე აღებული სუბიექტებისათვის.
- სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ერთობლივი წარმოების ორგანიზება;
- ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენება. ეს პუნქტი ძალზე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში, რათა აღმოფხვრილი იქნას დასაქმების სეზონურობა;
- საბაზრო ტექნოლოგიური ინფორმაციების, ცოდნის და გამოცდილების გაცვლის სისტემის ჩამოყალიბება.

საზღვარგარეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ კლასტერულმა მიდგომამ განსაკუთრებით გაამართლა ახალი, ინოვაციური დარგების განვითარებაში ან ძველი დარგების მოდერნიზაციაში.

მსოფლიოში ბოლო 23 ათეული წელია კლასტერების ფორმირება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. ექსპერტების შეფასებით მსოფლიო პროდუქციის 50%მდე ეკონომიკური კლასტერებში იწარმოება(3).

აშშ-ში კლასტერების რაოდენობა არის 380; დიდ ბრიტანეთში – 168; გერმანეაში – 32; საფრანგეთში – 96; იტალიაში – 208 და ა.შ.

აშშ სამრეწველო საწარმოების ნახევარი კლასტერებადაა გაერთიანებული, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ქვეყნის მშპს 60%ს აღწევს. ევროგაერთიანებაში მომქმედ კლასტერებში დაკავებულია მთლიანი სამუშაო ძალის 38%; კლასტერებით არის მოცული დანიის, შვედეთის, ფინეთის, ნორვეგიის მრეწველობა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფინეთის მაგალითი. იუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია მსოფლიო ტყის რესურსების 0,5%, კლასტერებში აწარმოებს მსოფლიო ქაღალდის ექსპორტის 25%, ხის დამამუშავებული პროდუქტის 10%; ფინეთის კლასტერებში იწარმოება მობილური კავშირების მოწყობილობების მსოფლიო ექსპორტის 30% და მობილური ტელეფონების 40%(4).

დანიაში წარმატებით ფუნქციონირებს 29 მოწინავე კლასტერი; აქაური კლასტერების პრიორიტეტული მიმართულებაა სოფლის მეურნეობა. ამას გარდა, მოქმედებს ტელეკომუნიკაციების კლასტერი, რაშიც გაერთიანებულია 40-ზე მეტი ფირმა და კვლევითი ცენტრი.

ჩვენთვის ძალიან საინტერესოა იტალიის მაგალითი იმ ნაწილში, თუ როგორ მოხდა დეპრესიულ რაიონების, სიცილიის და სარდინიის კლასტერული გზით განვითარება. 80-იან წლებში იტალიის მთავრობის უშუალო მონაწილეობით გამოყენებულ იქნა აშშ-ს „სილიკონის ველის" კლასტერის გამოცდილება (დირიჟისტული მიდგომა).

იტალიის მთავრობის რეკომენდაციით რეგიონში მომქმედმა ერთერთმა მსხვილმა კომპანიამ და სხვადასხვა უნივერსიტეტებმა ერთობლივად შექმნეს პერსპექტიული მიმართულებების და რეგიონში მოთხოვნად სპეციალობებზე სა-

განმანათლებლო პროგრამები, რის მიხედვითაც დაიწყეს არსებული სპეციალისტების გადამზადება და ახალი აბიტურიენტების მიღება. თავის მხრივ, სახელმწიფომ რეგიონი გაანთავისუფლა ნაწილი გადასახადებისგან, რამაც კლასტერს მისცა საშუალება ხელფასზე დანახარჯები 20%-ით შეემცირებინა, გაიზარდა წარმოების მოცულობა, სტუდენტთა კონტიგენტი, რეგიონში გაიხსნა ახალი საწარმოები, შემცირდა უმუშევრობა.

საერთოდ, იტალიაში სახელმწიფოს მხრიდან კლასტერების მხარდაჭერა განსაკუთრებულია, რაც გამოიხატება საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე შეღავათებით, ინვესტირების მოზიდვაში დახმარებით, კონსალტინგით და სხვა(4).

ევროპის მოწინავე ქვეყნებმა მიიღეს კლასტერების შოტლანდიური მოდელი. ამ მოდელში კლასტერების ძირითად ინიციატორად გვევლინება რომელიმე მსხვილი საწარმო, რომელიც ქსელურ კავშირში იზიდავს შედარებით მცირე საწარმოებს; მაგალითად, ფინეთში ფირმა NOKIA წარმოადგენს კლასტერის ბირთვს, რომლის გარშემო შემოკრებულია 100-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო(4). ასეთი ტიპის კლასტერები ევროპაში ძალზე გავრცელებულია. მაგალითად, გერმანიაში ფუნქციონირებს საავტომობილო კლასტერი BMWს, ფარმაცევტული კლასტერი Roche Diagnosticsს ბაზაზე და ა.შ.

დიდი ბრიტანეთი წარმატებით ახორციელებს კლასტერულ პოლიტიკას. აქ 90-იან წლებში შემუშავებულ იქნა ტექნოლოგიურ პროგნოზირების სისტემა, რის მიხედვითაც ხდება ქვეყნის რეგიონების კლასტერული განვითარება; მაგალითად, ქალაქ ნიუპორტის მიმდებარედ არსებობს ტერიტორიალური კლასტერი; კლასტერში გაერთიანებულია 1500-ზე მეტი კომპანია, 400 ათასი თანამშრომლით. ოქსფორდის ტექნოლოგიურ ცენტრთან ფუნქციონირებენ ვენჩურული კლასტერები. კლასტერებში პრაქტიკულად გამოიყენება და ინერგება ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიეროტექნიკური კვლევები(4).

საფრანგეთში კლასტერულ პოლიტიკაში სახელმწიფო უფრო მეტად ერევა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში; საფრანგეთის კონკურენციის სამთავრობო კომიტეტმა 2014 წელს გამოაცხადა ტენდერი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა ფინანსურ შეღავათებს გამარჯვებული პროდუქტებისათვის. გამარჯვებული პროდუქტების ფარგლებში შეიქმნა კლასტერები, რომელთა მხარდასაჭერად მთავრობამ დახარჯა 1,5 მლრდ ევრო(5). აღნიშნული პროექტები ორიენტირებულები არიან მაღალტექნოლოგიური პროდუქტის შექმნაზე მიკროელექტრონიკის, ნანო და ბიო ტექნოლოგიების გამოყენებით.

აშშ-ს ეკონომისტებმა სხვებზე ადრე დაიწყეს რეგიონების ეკონომიკური განვითარების გზების შესწავლა. სწორედ აქ, ამ სფეროში მოღვაწეობისას ჩამოაყალიბა მ. პორტერმა რეგიონების განვითარების კლასტერული თეორია. 2001 წელს კონკურენტუნარიანობის საბჭოზე მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში აქცენტები გადატანილი იყო რეგიონში ახალი, ინოვაციური კლასტერების ფორმირების და არსებულის განვითარების აუცილებლობაზე; ცნობილი "სილიკონის ველის" ფორმირება კალიფორნიაში სწორედ ამ მიმართულების პრაქტიკული გამოვლინება გახდა. ამ კლასტერში დაკავებულია 2 მლნ თანამშრომელი(4).

აშშ-ში შექმნილია კლასტერების მხარდაჭერის კომისია, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია და კონკრეტიზირებული; კლასტერების ფორმირება და ხელშეწყობა ფინანსდება ადგილობრივი შტატის ბიუჯეტიდან; აშშში ეხლაც მიმდინარებს კვლევითი სამუშაოები კლასტერული თეორიების და პრაქტიკის დასახვეწად.

ევროგაერთიანებაშიც დიდი მუშაობა მიმდინარეობს კლასტერების ფუნქციონირების სისტემატიზაციისათვის; გასული საუკუნის 90იან წლებში იუნიდომ (UNIDO) ევროპის ქვეყნებისათვის შეიმუშავა რეკომენდაციები კლასტერების და მცირე საწარმოების განვითარების შესახებ; 2006 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა „ევროკავშირის ქვეყნების კლასტერიზაციის მანიფესტი", ხოლო 2007 წელს „ევროპის კლასტერული განვითარების მემორანდუმი"(3).

ევროპის განვითარებულ ქვეყნების ინიციატივით, „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში, აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, შემუშავებული იქნა პროგრამა მეურნეობის ტრანსფორმაციის პირობებში კლასტერული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობის შესახებ.

აქტიურად მიდის კლასტერიზაციის პროცესი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში და ჩინეთში; კერძოდ, სინგაპურში ფუნქციონირებს ნავთობგადამამუშავებელი მსხვილი კლასტერი; იაპონიაში, კუნძულ ჰოკაიდოზე გავრცელებულია სამრეწველო და ინოვაციური კლასტერები ტექნოპოლისების სახით. ტექნოპოლისების განვითარების სტრატეგია იაპონიაში დამტკიცებულია საკანონმდებლო დონეზე, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს. აქაური ინოვაციური კლასტერების ცენტრი არის საპოროს უნივერსიტეტი, რომელსაც გააჩნია მძლავრი

სამეცნიეროტექნოლოგიური ბაზა.

ჩინეთში ამჟამად ფუნქციონირებს 60ზე მეტი განსაკუთრებული ზონა – კლასტერი, რომელშიც გაერთიანებულია 30 ათასი ფირმა, თანამშრომელთა რიცხვი 3,5 მილიონს აჭარბებს და იქმნება 200 მლრდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ მეურნეობის განვითარების კლასტერული მიდგომა განსაკუთრებით სასარგებლოა ინოვაციების სტიმულირებისათვის, რადგან კლასტერების სტრუქტურული თავისებურებანიქსელური ორგანიზაცია, კარგად ეხამება თანამედროვე, ინოვაციურ პროცესებს; ასე მაგალითად, თანამედროვე ეკონომიკაში მოდელი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა კონკურენტული უპირატესობები, განსხვავდება ტრადიციული მოდელებისგან; ეს უკანასკნელი ეყრდნობა უნივერსიტეტების და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ფუნდამენტურ კვლევებს, რომლებიც შემდგომ გადამუშავდება და პრაქტიკაში ინერგება მძლავრი კომპანიების შიდა (დახურული) სამეცნიერო კვლევითი განყოფილებების მიერ; ეს პროცესი ხანგრძლივი და ძვირადღირებულია. თანამედროვე მოდელი კი ითვალისწინებს ფირმების, უნივერსიტეტების, კვლევითი დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირს და სწორედ ეს არის კლასტერული მიდგომის მაგალითი; ამ შემთხვევაში ინოვაციების შემუშავებადანერგვის პროცესის ჩქარდება და შედარებით იაფი ჯდება (აღარ არის საჭირო ფირმებს გააჩნდეთ საკუთარი კვლევითი ქვეგანყოფილებები).

ინოვაციური კლასტერების ტიპოლოგია ასეთია:

- დამოკიდებული, ანუ შეკვეცილი კლასტერი შედგება ტექნოლოგიურად დაკავშირებული საწარმოებისაგან; მათი მოქმედების არეალი მკაცრად განსაზღვრულია (მაგ. სამთო მრეწველობა, გამდიდრება და სხვა). გამოიყენება თანამედროვე, მაგრამ არა უახლესი ტექნოლოგიები.
- დარგობრივი კლასტერებიგაერთიანებული სუბიექტები აწარმოებენ ტიპიურ პროდუქციას ან მომსახურებას. გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგრამ არა უახლესი.
- ინოვაციურ დარგობრივი კლასტერი, ეს არის ქსელური წარმონაქმნი, რომლის პროდუქცია მოითხოვს მუდმივ განახლებას, ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ასეთ კლასტერში ჩვეულებრივ, ჩართული არიან სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციები.
- პროინოვაციური კლასტერი; კლასტერში გაერთიანებული სუბიექტების მიზანია უახლესი ტექნოლოგიების და ცოდნის უსწრაფესი დანერგვა.
- ინოვაციურად ორიენტირებული კლასტერიაქ გაერთიანებული კომპანიები, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის სამრეწველო, საინვესტიციო, სოციალურ სტრუქტურას. კლასტერი იყენებს ახალ ტექნოლოგიებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზიდავს ტალანტებს, არის ვენჩურული კაპიტალის როგორც მომხმარებელი, ისე გენერატორი, განსაზღვრავს სამეცნიერო დაწესებულებების და უნივერსიტეტების კვლევის მიმართულებას. ასეთი კლასტერების მაგალითია „სილიკონის ველი" კალიფორნიაში და ოპტიკური ხელსაწყოების მწარმოებელი კლასტერი არიზონას შტატში.

საქართველოში, ჩვენი აზრით, ეკონომიკური განვითარების კლასტერულ ფორმას ალტერნატივა არ აქვს; საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგიონნების მიხედვით პრიორიტეტების შერჩევა და მიზანმიმართულად კლასტერული პოლიტიკის გატარება.

პირველ რიგში, საჭიროა განისაზღვროს, არსებობს თუ არა ქვეყანაში ქსელურად დაკავშირებული ეკონომიკური სუბიექტებიკლასტერები, სად არიან და რა საქმიანობას ეწევიან, რა ხელისშემშლელი პირობებია მათი განვითარებისთვის, რით შეუძლია სახელმწიფოს მათი დახმარება; ასევე მნიშვნელოვანია კვლევა, საჭიროა თუ არა, რომ სახელმწიფომ თვითონ იზრუნოს ახალი კლასტერების ფორმირებაზე (განსაკუთრებით დეპრესიულ რეგიონებში).

საქართველოში ამჟამად ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ქსელური კავშირები ერთმნიშვნელოვნად არსებობს. შეიძლება მათ გამოკვეთილად კლასტერები არ ერქვათ, ანუ ორგანიზაციულად კლასტერად არ იყონ გაფორმებული, მაგრამ მთავარია არა სახელი, არამედ შინაარსი. თუ სუბიექტები ერთობლივი მიზნის მისაღწევად ერთმანეთს უკავშირებენ ეკონომიკურ საქმიანობას, თუნდაც დროებით, ლოკალური მიზნის მისაღწევად, ეს უკვე პრობლემისადმი კლასტერული მიდგომაა. მთავარია მოხდეს ასეთი წარმონაქმნების კრისტალიზაცია და დასრულებული სახის მიცემა.

თუ ამ კუთხით მივუდგებით კლასტერების საკითხს, მაშინ საქართველოში არსებობენ ტურისტული, ღვინის, სატრანსპორტოლოგისტიკური, აგროსამრეწველო კლასტერები, საჭიროა მათი გამოკვეთა, ანუ ფაქტიურად მოქმედ კლასტერებს, რომლებიც ბუნებრივად არიან შექმნილი, საჭიროა დაერქვათ თავიანთი სახელი და მოხდეს მათი განვითარების ხელშეწყობა;

ცოტა დაწვრილებით გვინდა მოვიყვანოთ მცირე მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, რომ

ქვეყანაში ეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებობს კლასტერული კავშირები, რომლის არსებობაც ზოგ შემთხვევაში მონაწილეებმაც კი არ იციან, ანუ ისინი მოქმედებენ სპონტანურად, საღი აზრის და პრაქტიკიდან გამომდინარე.

გურიის რეგიონში ორმა მეწარმემ ერთობლივად დაარსეს ჩაის მიმღებგადამამუშავებელი მცირე საწარმო. მათ მაგალითზე სხვა მეწარმემაც გახსნა ასეთივე საწარმო; ორივე საწარმო 100-ზე მეტი გლეხისგან იბარებენ ჩაის ფოთოლს, აშრობენ და გადაამუშავებენ. ეს ორი სუბიექტი რეგიონში ერთმანეთის კონკურენტები არიან, მაგრამ მათ გამონახეს საერთო შეხების წერტილი და ერთობლივად დაიწყეს გარკვეული ოპერაციების ჩატარება, რათა შეემცირებინათ ტრანსაქციული ხარჯები. მეწარმე, რომელმაც ცოტა გვიან დაიწყო ფუნქციონირება ამბობს: "თუ იმაზე მეტი ჩაის ფოთოლი მქონდა, ვიდრე გადამუშავება შემეძლო, ავთოსა და მერაბს (პირველად გახსნილი საწარმოს დამფუძნებლები. შენიშვნა ავტ.) ვაძლევდი, რომ მოსავალი ტყუილად არ გადამეყარა, ჩაისაც ერთად ვყიდდით, რომ დისტრიბუციის ხარჯები გაგვეყო და გვესარგებლა მასშტაბის ეკონომიით" (6). ზუსტად ეს არის საქმისადმი კლასტერული მიდგომის მცირე მაგალითი; კლასტერის მონაწილეები, ამ შემთხვევაში არიან: გლეხები, რომლებსაც მოჰყავთ ჩაი და ფოთლის მიმღები ორი კონკურენტული მცირე საწარმო; მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეწარმეს, რომელმაც გვიან შექმნა მიმღებგადამამუშავებელი მცირე საწარმო, არავითარი გამოცდილება არ ქონდა ამ სფეროში და მას გამოცდილება გაუზიარა პირველი (კონკურენტი) საწარმოს მფლობელმა

კლასტერების ეფექტურობა დიდია აგროსექტორში, მოსახლეობის დასაქმების სეზონურობის შესამცირებლად. აგროკლასტერში, რომელიც დაკავებულია სხვადასხვა სახის აგროპროდუქტის მოყვანით, გადამუშავებით (საკონსერვო, წვენების ქარხნები და სხვა.) და აღჭურვილია სამაცივრო სიმძლავრეებით, მთელი წლის განმავლობაში დასაქმების სეზონური დისბალანსი გამორიცხული იქნება.

ანაკლიის პორტის მშენებლობის დღის წესრიგში დაყენებამ, ძალიან კარგი პერსპექტივა გამოაჩინა ქვეყანაში სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კლასტერების ჩამოყალიბება-გააქტიურების სახით(7); პორტის მშენებლობის პარალელურად შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზი) ინოვაციური საწარმოებით. თუ თეზის ოპერირებაში ჩართული იქნება ამ საქმეში ძალიან გამოცდილი ჩინური კომპანიები თავიანთი ინვესტიციებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს რეგიონი იქცევა მთელი საქართველოსთვის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გამწევ ძალად.

ძალიან საინტერესოა აგრეთვე საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის და ტურისტული მიმართულების კლასტერების გამოკვეთაწახალისება; ორივე დარგის განვითარებისთვის სახელმწიფო ბევრს აკეთებს: (სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობა, უცხო ქვეყნის ტურისტული ფირმების მოწვევა, ინფრასტრუქტურის განახლება და სხვა.) სწორედ ამაზე ამახვილებს ყურაღებას ავტორი როდესაც ამბობს: „განასხვავებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ და ახალ კლასტერებს. საბედნიეროდ საქართველოში ჩამოყალიბებული კლასტერების საკმაო რაოდენობა გვაქვს. მაგალითად, მევენახეობამეღვინეობის კლასტერი და სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამუშავების სხვა კლასტერები. ისტორიულად ხელახლა ჩამოყალიბებული ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სატრანსპორტო და ტურიზმის კლასტერი, სატრანსპორტო დერეფნის და სხვა კლასტერები. ყველა ჩამოთვლილ კლასტერს სწორი კლასტერულინოვაციური სტრატეგიის ჩარჩოში სჭირდება მოქცევა და მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივების „ციკლურ ენაზე გადათარგმნა"(7). ამავე სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ საჭირო საქართველოს სხვადასხვა რეგიონების აქტივობების რუკის შექმნა იმისათვის, რომ გავიგოთ რა ადამიანური, ფინანსური, ბუნებრივი რესურსები გაგვაჩნია და ამ კვლევებზე დაყრდნობით შევიმუშავოთ რეგიონალური განვითარების კლასტერული სტრატეგია.

ჩვენ ვუერთდებით ავტორის ამ მოსაზრებას. ჩვენი მხრიდან კი დავამატებთ, რომ საჭიროა ეკონომიკის სამინისტრომ, პრესამ, ტელევიზიამ, სამეცნიერო წრეებმა, უნივერსიტეტებმა მეტი იმუშავონ იმისათვის, რომ მოქმედმა თუ მომავალმა ბიზნესმენმა უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ მეურნეობების მართვის კლასტერული მიდგომების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. М. Портер. Конкуренция. 2005 г. изд. Вильямс.

2. Р. Грифин, М. Пастей, Международный бизнес, ПИТЕР. 2006

3. Е. Ленчук. Кластерный подход в стратегий иновационного развития зарубежных стран. Экономический портал Institute ones.com.

4. В. Наджабов. Обзор зарубежногоопыта внедрения кластеров.www.vestnikmgoi.ru

5. М. Шершнева. Проблемы создания иновационных кластеров. www.gier.ru

6. გ. კვირიკაშვილი. საქართველო ევროპის და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად უნდა ჩამოყალიბდეს. www.comersant.ge.

7. კ. კიკაბიძე. 2020 სტრატეგიას თაროზე შემოდებული ეკონომიკური სტრატეგიის ბედის გაზიარება მოუწევს. www.interpresnews.ge.

GEORGIAN ECONOMICS DEVELOPMENT – CLUSTER ECONOMICS

NODAR SAMKHARADZE
Professor of Tbilisi Open University
E-mail: nodarsamkharadze@gmail.com
EKA SOMKHISHVILI
Bachelor in Tbilisi Open University

Summary

\The article covers theoretical and practical issues of cluster development of economic bodies. Economic cluster development experiences in different countries worldwide are also covered. The article demonstrate authors' suggestions about adoption of cluster economics development policy.